სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ღურტის საჯარო სკოლის ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პედაგოგის

მზია იაკობაძის

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა

თემაზე

ტერმინთა სწავლებასთან დაკავშირებული სიძნელეების დაძლევის გზები ინფორმაციულ - საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში მე-5 კლასში

2018-2019

სარჩევი

1.შ ე ს ა ვ ა ლ ი 1

1.1.აქტუალურობა..... 1

1.2. თემა: 3

1.3. კვლევის მიზანი: 3

1.4. კვლევის დღიური 3

1.5.ნაშრომის სტრუქტურა და ძირითადი დასკვნები 3

1.6. ნაშრომში მოცემული ძირითადი დასკვნები 4

1.7.კვლევის შედეგები და მათი ანალიზი..... 4

2. ლიტერატურის მიმოხილვა 5

3. კვლევის დიზაინი..... 8

3.1 კვლევის მთავარი კითხვა 8

3.2. სამიზნე ჯგუფი 8

3.3. კვლევის შედეგები..... 9

3.4.აღწერითი უბრალო დაკვირვება 10

3.5 აღწერითი უბრალო დაკვირვების შედეგების ანალიზი (თვისობრივი მეთოდი - დიაგნოსტიკური) 11

3.6. დიაგნოსტიკური ანკეტირება (რაოდენობრივი კვლევა) 12

3.7 დიაგნოსტიკური ანკეტირების შედეგების ანალიზი 15

4. ინტერვენციები 16

5. ფოკუსირებული დაკვირვება (შუალედური) 19

5.1 ფოკუსირებული შუალედური დაკვირვების შედეგების ანალიზი 20

6. ანკეტირება (კვლევის დასასრული) 20

6.1 ანკეტირების შედეგების ანალიზი 25

7. რეკომენდაციები..... 26

8. დასკვნა..... 27

9. ბიბლიოგრაფია 28

10. დანართები 30

დანართი 1- აღწერითი უბრალო დაკვირვება..... 30

დანართი 2- დიაგნოსტიკური ანკეტირება (რაოდენობრივი კვლევა)..... 32

დანართი 3- ანკეტირება (კვლევის დასასრული) 33

11. პრაქტიკული კვლევის ანგარიშის პრეზენტაციის რეფლექსია..... 35

1.შ ე ს ა ვ ა ლ ი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ღურტის საჯარო სკოლის მე-5 კლასში ტერმინებით გამოწვეული სიძნელეების დაძლევის გზები საკითხი ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში. ასევე ყურადღება გამახვილებულია საკვლევ საკითხთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ ინფორმაციაზე, პრობლემის გამომწვევ მიზეზებსა და მისი გადაჭრის შესაძლებლობაზე.

1.1.აქტუალურობა

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწავლების პროცესის უმთავრესი მიზანია მოსწავლეს ჩამოუყალიბოს არა მარტო პრაქტიკული უნარ-ჩვევები, არამედ ხელი შეუწყოს ციფრული წიგნიერების განვითარებას. ისტ-ის შესწავლა და გამოყენება ხელს უწყობს შემოქმედებითობისა და ინოვაციური მიდგომების განვითარებს, რაც ძალზე მნიშვნელოვანია კონსტრუქტივისტული საკლასო გარემოს შესაქმნელად.

პედაგოგიურ პრაქტიკაზე დაკვირვებამ მიჩვენა, რომ დაწყებითი საფეხურის მე-5 კლასებში მიუხედავად იმისა რომ საგანი უყვართ პრაქტიკული სამუშაოების გამო მუშაობისას მაინც იკვეთება ხარვეზი ტერმინებთან მიმართებაში.

მოსწავლეთა უმრავლესობა დამოკიდებულია მასწავლებლის მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე, მათ სწავლა ჰგონიათ მხოლოდ მცირე ინფორმაციის დამახსოვრება, რაც შეეხება ისტ-ის სწავლებისას მოსწავლეებს ჰგონიათ რომ თუ პრაქტიკულად შეასრულა დავალება მათ აღარ სჭირდებათ ტერმინების სწავლა-გაანალიზება. ამ მიდგომით გამოწვეული პრობლემა კი ზოგჯერ მოტივაციას უკარგავს მოსწავლეთა გარკვეულ ნაწილს. არის შემთხვევები, როცა შექმნილი მდგომარეობა ზოგჯერ ხელს მიშლის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევაში, ხარისხიანი

გაკვეთილის ჩატარებაში, საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხის გაზრდაში. რაც საბოლოოდ სკოლის წარმატებაზე აისახება.

სწორედ, ამიტომ გადავწყვიტე გამომეკვლია მიზეზი აღნიშნული პრობლემისა, დამეგეგმა აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობდა მის აღმოფხვრას, გააუმჯობესებდა ტერმინების გაგება-გააზრებას, რაც შემდგომში დადებითად აისახებოდა საგაკვეთილო პროცესზე.

აღნიშნული კვლევა დამეხმარება ამ პრობლემის დაძლევასა და მოსწავლეთა სწავლის შედეგების გაუმჯობესებაში.

სარგებელი მოსწავლეებისთვის:

მოიმატებს მოსწავლეთა დაინტერესება, მოტივაცია, პასუხისმგებლობა, ჩართულობის მაჩვენებელი და შესაბამისად ცოდნის დონეც. შეძლებენ მასწავლებლების მითითებებისა და ინსტრუქციების შესრულებას, მიეცემათ მეტი ხალისი და სტიმული იმისა, რომ გონება მიმართონ უკეთესობისაკენ, გაითვალისწინებენ შენიშვნებს და ეცდებიან პრობლემის მოგვარებას, გაეზრდებათ ინტერესი სასწავლო საგნებისადმი და სასწავლო პროცესისადმიც ჩამოუყალიბდებათ პოზიტიური დამოკიდებულება.

სარგებელი მასწავლებლებისთვის:

კვლევის ფარგლებში განხორციელებული მიგნებები, ინტერვენციები და რეკომენდაციები კოლეგებს დაეხმარება მსგავსი პრობლემის აღმოფხვრაში და

ზოგადად პროფესიული საქმიანობის გაუმჯობესებაში. კვლევის შედეგად მოხდება გამოცდილების გაზიარება, კლასში შემომსვლელ საგნის მასწავლებლებთან ერთად სამომავლო ქმედებების დაგეგმვა და საინტერესოდ გააზრებული იდეების გაცვლა, რასაც ეფექტურად გამოიყენებენ მასწავლებლები თავიანთ პედაგოგიურ პრაქტიკაში.

სარგებელი მკვლევარი მასწავლებლისთვის, ანუ ჩემთვის:

ვფიქრობ, ჩემთვის, ისევე როგორც ჩემი კვლევის ობიექტ მოსწავლეებისთვის, სარგებელი მეტად დიდი და მნიშვნელოვანი იქნება, რადგან ვუპასუხებ ესგ-ს მოთხოვნებს, გავიუმჯობესებ ჩემი, როგორც მასწავლებლის შედეგებს, აღნიშნული კვლევის ფარგლებში გამოკვეთილი რეკომენდაციები დამეხმარება მსგავსი პრობლემის აღმოფხვრაში და ზოგადად პროფესიული საქმიანობის გაუმჯობესებაში.

1.2. თემა: **ტერმინთა სწავლებასთან დაკავშირებული სიძნელეების დაძლევის გზები ინფორმაციულ - საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში მე-5 კლასში**

1.3. კვლევის მიზანი:

ტერმინებით გამოწვეული სიძნელეების გამომწვევი მიზეზების დადგენა, შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა, განხორციელება და მიღწეული შედეგების შეფასება დაწყებითი საფეხურის მე-5 კლასში.

1.4. კვლევის დღიური

დაკვირვების შედეგები, ანკეტები, შუალედური ანალიზის შედეგები, მონაცემთა ანალიზის შედეგები, თეორიული ჩანიშვნები, მეთოდური ჩანიშვნები, ანალიზი.

1.5.ნაშრომის სტრუქტურა და ძირითადი დასკვნები

ნაშრომის სარჩევში ჩამოთვლილია კვლევის შემადგენელი თავები და ქვეთავები, დიაგრამები, დანართები. მითითებულია შესაბამისი გვერდები.

ნაშრომი შედგება 11 თავისგან. პირველ თავში განხილულია თემის აქტუალურობა, კვლევის მიზნები, კვლევის შედეგები და მათი ანალიზი. მეორე თავში განხილულია ლიტერატურა. მესამე თავი მოიცავს კვლევის დიზაინს, კვლევის მთავარ კითხვას და სამიზნე ჯგუფზე ინფორმაციას, კვლევის შედეგებს აღწერით უბრალო დაკვირვებას, დიაგნოსტიკურ ანკეტირებას და შედეგებს. შემდეგი მე-4 თავი დაეთმო ინტერვენციებს,

მე-5 თავი გადმოცემულია ფოკუსირებული დაკვირვებისა და შედეგების ანალიზი, მას მოსდევს ანკეტირება და მისი შედეგები, მე-7 თავში არის გადმოცემული რეკომენდაციები, ხოლო მე-8 თავსი დასკვნები. მას მე-9 თავში მოსდევს ბიბლიოგრაფია და დანართები. სულ ბოლოს მე-11 თავში კოლეგებთან გაზიარების ანგარიში.

1.6. ნაშრომში მოცემული ძირითადი დასკვნები

დავგეგმე მეწარმოებინა აღწერითი უბრალო დაკვირვება (თვისობრივი მეთოდი). მეთოდი ავირჩიე იმიტომ, რომ სწორედ ეს მომცემდა საშუალებას დამედგინა პრობლემის მიზეზები. აგრეთვე სიღრმისეულად შემესწავლა მოსწავლეთა პრობლემა.

დიაგნოსტიკური კვლევისთვის ვაწარმოე ანკეტირება (რაოდენობრივი კვლევა), რადგან ჩავთვალე, რომ ეს მომცემდა საშუალებას მოსწავლეთა თვალით დამენახა პრობლემა და დამედგინა, მათი შეხედულებით რა არის ტერმინების გაგების პრობლემა. ამ მეთოდმა საშუალება მომცა გამეგო და ამეხსნა მოსწავლეთა დაძაბული და უარყოფითი დამოკიდებულება შემაჯამებელი ტერმინების სწავლებასთან მიმართებაში.

ანკეტირებისთვის გამოვიყენე როგორც ღია, ისე დახურული შეკითხვები. დახურული კითხვები მოიცავდა 3 სავარაუდო პასუხს: ძალიან კარგი, ნაწილობრივ კარგი და ცუდი. აქედან ყველაზე დიდი რაოდენობა დაფიქსირდა ნაწილობრივ კარგის შემთხვევაში. შედარებით ნაკლები კარგის შემთხვევაში და ამას მოსდევდა ცუდი.

ღია კითხვებმა გამოკვეთა ის მიზეზები, რომლებიც იწვევდა მასალის რთულად გაგებას.

1.7.კვლევის შედეგები და მათი ანალიზი

კვლევის შედეგებმა დამანახა, რომ ჩემს მიერ დაგეგმილმა და განხორციელებულმა აქტივობებმა, როგორიცაა: განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება ცნებებსა და

ტერმინებზე და ლექსიკონის შედგენა. გაკვეთილზე სპეციალურად მომზადებულმა რესურსების გამოყენებამ დადებითი შედეგი გამოიღო.

დაგეგმილი აქტივობების განხორციელების შემდეგ ჩავატარე ანკეტური გამოკითხვა (რაოდენობრივი). 3 დონიანი შეკითხვებიდან უმეტესობამ დააფიქსირა საშუალო დონე, უარყოფითი ძალიან ცოტამ, კარგი - შედარებით მეტმა.

ამრიგად მივაღწიე კვლევის მიზანს.

პრობლემის კუთხით გამოკვეთილი მოსწავლეები აქტიურად ჩაერთვნენ საგაკვეთილო პროცესში, გაეზარდათ მოტივაცია, რაც დადებითად აისახა სასწავლო პროცესზე.

2. ლიტერატურის მიმოხილვა

ტერმინების გაგება-გააზრებასთან დაკავშირებით რადგან ვაწყდებოდით რიგ პრობლემებს გავეცანი შესაბამის ლიტერატურას. მოსწავლე უნდა გასცდეს მასალის უბრალო დამახსოვრება-გაზეპირებას. კერძოდ, მან ცოდნის დაგროვებასთან ერთად უნდა შეძლოს ამ ცოდნის გაგება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი და ბოლოს შეფასება . ამ დროს მოსწავლე არა მხოლოდ ფლობს ინფორმაციას, არამედ მას შეუძლია ცოდნის გამოყენება და შესაბამისად ქმედება.

მაია ფირჩახაძის „როგორ ავათვისებინოთ მოსწავლეს ისტორიული ტერმინოლოგია“, სადაც ავტორი საუბრობს საგნის შესწავლისას თუ როგორ ავათვისებინოთ მოსწავლეებს ეფექტურად მნიშვნელოვანი ცნებები, განვუვითაროთ უნარ-ჩვევები, იძლევა მნიშვნელოვან რეკომენდაციებს. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა მასწავლებლებისაგან სწავლების მრავალფეროვან მიდგომებს მოითხოვს, რათა საგნის შესწავლისას მოსწავლეებს ეფექტურად ავათვისებინოთ მნიშვნელოვანი ცნებები, განვუვითაროთ უნარ-ჩვევები და უკეთ მოვამზადოთ სტანდარტის მოთხოვნების შესასრულებლად.

გავეცანი მაია ფიჩხაძის სტატიას „ტერმინოლოგიური კარნახი ისტორიისა და სამოქალაქო განათლების გაკვეთილზე“ , რომელიც ტერმინოლოგიის სწავლებისას წარმოქმნილ სიძნელეების დასაძლევად გვთავაზობს სხვადასხვა მეთოდებსა და აქტივობებს. სტატიაში ნათქვამია, „მასწავლებელს მოცემული სირთულის დაძლევა სასწავლო პროცესის სწორი ორგანიზების შემთხვევაში შეუძლია: ტერმინების შესწავლა/დასწავლა რეპროდუქციული ხასიათის მეთოდებს მიეკუთვნება, ამიტომ შედეგის მისაღწევად საჭიროა სამუშაო პროცესში მასალის ახსნაზე, დამახსოვრებასა და ცოდნის კონტროლ/შემოწმებისკენ მიმართული აქტივობების გამოყენება“.

თეა ბორჩაძის ნაშრომს „კომპიუტერული ტერმინოსისტემის თარგმნის ლინგვისტური მარკერები“, სადაც ყურადღება გამახვილებულია ტერმინოლოგიის სიჭარბეზე, მისი გამოყენების აუცილობლებაზე, თარგმნის მნიშვნელობაზე.

2000-იანი წლებიდან საქართველოში დაიწყო განათლების რეფორმა. რეფორმამ ყოფილ საბჭოთა საგანმანათლებლო სივრცეში უამრავი განსხვავებული ტერმინი შემოიტანა, თუმცა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინების ცვლილებით სწავლების პროცესის არსობრივი ცნებები, რომლებიც მეცნიერულ გააზრებას ექვემდებარებიან, არ იცვლებიან და მხოლოდ განსხვავებული ტერმინებით აღინიშნებიან. ეს პროფესიები გააღრმავა და გაართულა ისეთმა უსერიოზულესმა პრობლემამ, როგორიცაა ქართველი მოსახლეობის მიერ ინგლისური ენის არცოდნა, თუმცა მნიშვნელოვანია, რადგან კომპიუტერულ ერაში გვიწევს ცხოვრება. რაც შეეხება საგანს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტერმინებთან ურთიერთობა ისტ-ის სწავლებისას. მეცნიერული თვალთახედვით, სწავლების ტექნოლოგია ეფუძნება იმ მეთოდოლოგიას, ფილოსოფიურ საფუძველებს, რომლებსაც ეყრდნობა და იყენებს მასწავლებელი სწავლების პროცესში. თანამედროვე პედაგოგიურ სივრცეში სწავლებისას მასწავლებლები ვიყენებთ როგორ ბიჰევიორიზმს, კონსტრუქტივიზმს, ჰუმანისტური თეორიას, ასევე სოციალურ დასწავლის თეორიასა და პრაგმატიზმს , თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სწავლების პროცესში, როგორც წესი, ვერ ხერხდება ერთი რომელიმე ფილოსოფიის თანმიმდევრულად გატარება, ვინაიდან სხვადასხვა თეორია ხშირად

ფარავს და ერწყმის ერთმანეთს. სასწავლო პროცესის თითოეული ამ ტექნოლოგიით წარმართვისას მასწავლებელი, ბუნებრივია, მიმართავს როგორც ზეპირ სიტყვას, ასევე წიგნს და ილუსტრაციას, ლაბორატორიულ მუშაობას და სხვ., მეთოდს. ტერმინების სწავლებისას კი მასწავლებლის მიერ მოქმედების გეზის არჩევას, სასწავლო პროცესის დაგეგმვას, მიმართულების მიცემას უდიდესი როლი ეკისრება.

წაკითხული ლიტერატურიდან განსაკუთრებით გამოვარჩევ „პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევის მე-2 ნაწილს“, რომელმაც დამაკვალიანა და საშუალება მომცა ზუსტად ამერჩია ის მეთოდი, რომელიც კვლევის პროცესში გამომადგებოდა.

ლია წულაძის ნაშრომი ,,რაოდენობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებაში'', მისი დეტალურად გაცნობის შემდეგ დავრწმუნდი, რომ რაოდენობრივი კვლევის მეთოდები მონაცემთა მოპოვების საიმედო და აღიარებული ტექნიკაა, იგი საშუალებას მოგვცემს, მისი სწორად განხორციელების შემთხვევაში, შედეგები განზოგადდეს, რაც რაოდენობრივი კვლევის სანდოობაზე მიუთითებს. ამ სტატიამ მიბიძგა კვლევის დროს ამ მეთოდის გამოყენების აუცილებლობაზე.

დეტალურად გავეცანი მასწავლებლის წიგნს „შეფასება: მოსწავლე, გაკვეთილი და შიდა სასკოლო“-თამთა კობახიძის, გიორგი ნოზაძის, მაია ინასარიძისა და მანანა ბოჭორიშვილის ავტორობით , სადაც დიაგნოსტიკური ანკეტირების მნიშვნელობის განსაზღვრაში დამეხმარა. დიაგნოსტიკური შეფასება მოსწავლის სისუსტეების აღმოჩენაზეა ორიენტირებული, რათა შემდეგ მათი აღმოფხვრა შესაბამისი სასწავლო მიდგომების მეშვეობით განხორციელდეს. ის შეიძლება გადაწყვეტილების მიღების სტრატეგიადაც განვიხილოთ, რისი მეშვეობითაც მასწავლებლები განსაზღვრავენ, თუ როდის და როგორ უნდა მიმართონ შესაბამის ზომებს. დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტმა მასწავლებელს მოსწავლის მოსწრების შესახებ დეტალური ინფორმაცია უნდა მიაწოდოს, რათა, ერთი მხრივ, ზუსტი დიაგნოზი დაისვას და, მეორეს მხრივ, შესაბამისი ინტერვენცია დაიგეგმოს და განხორციელდეს.

3. კვლევის დიზაინი

3.1 კვლევის მთავარი კითხვა იყო - რა სიძნელეებს იწვევს ტერმინოლოგია ისტ-ის სწავლებისას ?

ა) საკვლევი კითხვები:

1) არის თუ არა ტექსტებში ბევრი უცხო ტერმინი და ამიტომ უჭირთ დამახსოვრება?
2) უჭირთ ტერმინების გაგება, გააზრება და მისი სწორად წარმოთქმა?
3) იწვევს თუ არა ტერმინებთან ურთიერთობა თვითდაჯერების უნარისა და მოტივაციის დაქვეითებას?
4) რადგან პრაქტიკულად აკეთებს და გავითარებული აქვს მხედველობითი მეხსიერება ამიტომ არ თვლის საჭიროდ ტერმინების სწავლას?
5) ხომ არ არის ტერმინების განმარტება რთული ენით დაწერილი?
6) ხომ არ ეზარებათ წაკითხვა და ურჩევნიათ კეთებით სწავლება?

3.2. სამიზნე ჯგუფი იყო მე-5 კლასის მოსწავლეები. 5 მოსწავლე.

გ) საკვლევ კითხვებზე პასუხის გასაცემად გამოყენებული იყო კვლევის, როგორც თვისობრივი ისე რაოდენობრივი მეთოდი.

საწყის ეტაპზე ჩატარდა უბრალო აღწერითი დაკვირვება, რათა დამედგინა პრობლემის არსი.

ასევე პირველ ეტაპზე ჩავატარე ანკეტირება, რათა გამეგო პრობლემის გამომწვევი მიზეზები.

ფოკუსირებულმა დაკვირვებამ იმ მოსწავლეებზე, რომლებთანაც განსაკუთრებით აღინიშნებოდა თეორიული მასალის გაგებასთან დაკავშირებული პრობლემები.

შემაჯამებელ ეტაპზე ჩავატარე ანკეტირება, რამაც საბოლოოდ დამანახა განხორციელებული ინტერვენციების შედეგები.

3.3. კვლევის შედეგები

კვლევამ აჩვენა, რომ

- ტექსტებში ბევრია უცხო ტერმინები და ცნებები
- ანკეტირებამ აჩვენა, უჭირთ სიტყვების გაგება, გააზრება და მისი სწორად წარმოთქმა?
- ანკეტირებამ გამოავლინა ისიც, რომ მოსწავლეების აზრით პრაქტიკულად იციან და ამიტომ არ თვლიან საჭიროდ ტერმინებზე ყურადღების გამახვილებას.
- შუალედურმა ფოკუსირებულმა უბრალო დაკვირვებამ აჩვენა, რომ იმ მოსწავლეებში რომელთაც ყველაზე მეტად უჭირდათ ტერმინების გაგება-გააზრება, გაუმჯობესდა სიტუაცია ამ კუთხით.

- საბოლოო ანკეტირებამ გვიჩვენა, რომ ტერმინებზე, ცნებებზე ყურადღების გამახვილებამ, ლექსიკონების წარმოებამ გააუმჯობესა თეორიული მასალის გაგების პრობლემა.
- მარკირების მეთოდის გამოყენებამ გაზარდა მოსწავლეთა მოტივაცია, თვითდაჯერებულობა.
- ბარათების მეთოდის გამოყენებამ უზრუნველყო მოსწავლეთა თანაბარი ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში.

- ჯერ პრაქტიკულად კეთებამ და შემდეგ განმარტებებმა სამუშაოს დროს სტანდარტული მენიუს რომელი ბრძანება გამოიყენა და რა დანიშნულება აქვს მას მკვეთრად გაზარდა მოსწავლეთა სწავლის ხარისხი.

3.4.აღწერითი უბრალო დაკვირვება

1) გიყვართ თუ არა საგანი ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები
   - კი
   - ნაწილობრივ
   - არა

2) ტექსტები არის დიდი მოცულობის, არის უცხო ტერმინები და მიჭირს დამახსოვრება
   - კი
   - ნაწილობრივ
   - არა

3) მიჭირს საოფისე პროგრამებში მუშაობა
   - კი
   - ნაწილობრივ
   - არა

4) რთული ენით არის მოცემული ტერმინების განმარტება
   - კი
   - ნაწილობრივ
   - არა

5) ტერმინების დასწავლასთან გაქვს თუ არა შიში?

- კი
- ნაწილობრივ
- არა

6) გიჭირთ თუ არა ტერმინების გაგება, გააზრება?
    - კი
    - ნაწილობრივ
    - არა

7) მირჩევნია კეთებით სწავლება, მეზარება წაკითხვა, ბრძანებებისა და ტერმინების დაზეპირება.
    - კი
    - ნაწილობრივ
    - არა

3.5 აღწერითი უბრალო დაკვირვების შედეგების ანალიზი (თვისობრივი მეთოდი - დიაგნოსტიკური)

აღწერითმა უბრალო დაკვირვებამ აჩვენა, რომ ტექსტები არის დიდი მოცულობის, არის უცხო ტერმინები და უჭირთ დამახსოვრება.

ამასთანავე რადგან პრაქტიკულად ახერხებენ გაკეთებას საჭიროდ არ თვლიან ტერმინების დამახსოვრება. უცხო ცნებებისა და ტერმინების დასწავლასთან აქვთ შიში, რადგან უჭირთ მათი გაგება და წარმოთქმა.

3.6. დიაგნოსტიკური ანკეტირება (რაოდენობრივი კვლევა)

1) რამდენად ხშრად იძლევა მასწავლებელი მიმდინარე საგაკვეთილო პროცესში ტერმინების განმარტებას?

ა) ხშირად იყენებს

ბ) იშვიათად

გ) არ იყენებს



2) რამდენად ყურადღებიანი ვარ როცა მასწავლებელი ტერმინებს გვიხსნის ?

ა) ძალიან კარგი

ბ) ნაწილობრივ კარგი

გ) ცუდი



3) რამდენად კარგად გადმოვცემ უცხოურ ტერმინოლოგიას ?

ა) ძალიან კარგად

ბ) ნაწილობრივ კარგად

გ) ცუდად



4) როგორ ვგებულობ და ვიმახსოვრებ უცხო ტერმინებს და ცნებებს ?

ა) ძალიან კარგად

ბ) ნაწილობრივ კარგად

გ) ცუდად



5. თუ თვლით , რომ ვერ იმახსოვრებ ტერმინოლოგიას მიუთითე მიზეზი

ა) ძალიან ბევრი ტერმინებია

ბ) დიდი მოცულობის მასალაში მიჭირს გამოვყო ძირითადი ტერმინები და ვერ ვხვდები რომელია ძირითადი

გ) როცა ვაკეთებ მასწავლებლის მიერ მოცემულ პრაქტიკულ დავალებას, აღარ მჭირდება მისი დამახსოვრება.

დ) ტერმინების დამახსოვრების შიში მაქვს;

3.7 დიაგნოსტიკური ანკეტირების შედეგების ანალიზი

ანკეტირებისას გამოიკითხა 5 მოსწავლე.

შედეგებმა აჩვენა, რომ მასწავლებელი მიმდინარე საგაკვეთილო პროცესში იყენებს ტერმინების განმარტებას, კერძოდ 4 თვლის რომ ხშირად იყენებს, 1 თვლის რომ იშვიათად იყენებს, რაც შეეხება კითხვას თუ რამდენად ყურადღებიანია როცა მასწავლებელი ტერმინებს ხსნის 1-მა მოსწავლემ დააფიქსირა რომ ძალიან კარგი მსმენელი, 2 ფიქრობს რომ ნაწილობრივ კარგი მსმენელია, ხოლო 2 ცუდი, ტერმინების გადმოცემა უჭირს 3 მოსწავლეს, ერთი კარგად გადმოცემს ტერმინებს, ხოლო 1-მა დააფიქსირა ნაწილობრივ. ტერმინების გაგება და დამახსოვრება უჭირს -3 მოსწავლეს, მხოლოდ ერთი მოსწავლეს ახერხებს ძალიან კარგად, ერთი კი ნაწილობრივ კარგად. ღია კითხვით თუ რას თვლიან, რატომ ვერ იმახსოვრებენ ტერმინოლოგიას მიზეზად მიუთითეს რომ დიდი მოცულობის მასალაში ძალიან ბევრი ტერმინებია, აგრეთვე უჭირთ გამოყონ ძირითადი ტერმინები და ვერ ხვდებიან რომელია ძირითადი ტერმინი, აგრეთვე დააფიქსირეს ის რომ როცა პრაქტიკულად აკეთებენ დავალებას აღარ თვლიან საჭიროდ მის დამახსოვრებას, აქვს ტერმინების წარმოთქმისა და დამახსოვრების შიში.

4. ინტერვენციები

კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე დაიგეგმა შემდეგი ინტერვენციები:

ორი თვის განმავლობაში სისტემატიურად დაგეგმვა იმ აქტივობებისა, რომელიც დაძლევდა არსებულ პრობლემას:

- რამოდენიმე მეცადინეობა დავუთმო მხოლოდ ტერმინებს და ცნებებს. ლექსიკონის შედგენას.
- კითხვის დროს გამოვიყენოთ მარკირების მეთოდი, რათა გამოყონ ძირითადი მეორეხარისხოვნისგან.
- ელექტრონული რესურების შექმნითა და გამოყენებით შესწავლილი ტერმინების შემოწმება-განმტკიცება.

- საკვლევი თემის კუთხით გამოკვეთილ პრობლემურ მოსწავლეებზე ფოკუსირებული დაკვირვება.
- ანკეტური გამოკითხვის ჩატარება კვლევის დასასრულს, განხორციელებული ინტერვენციების შეფასების მიზნით.

ინტერვენცია:1

ლექსიკონის შედგენა

მიზანი: ცნებების და ტერმინების კლასიფიცირება

აღწერა: მოსწავლეებს მიეცათ დავალება დაემუშავებინათ ტექსტი, რომლის შემდეგაც უნდა ამოეწერათ ის ძირითადი ტერმინები, რომელიც გვჭირდება მუშაობის პროცესში. ლექსიკონის წარმოებამ გაადვილა მოსწავლეთა მხრიდან მისი გაგება-გააზრების პროცესი.

ინტერვენცია: 2

ახალი ტერმინების ახსნა-გააზრება-განმტკიცებას.

მიზანი: შედარების, ვიზუალიზაციისა და სხვადასხვა ტექნიკის გამოყენება .

აღწერა: ახალი ტერმინების ახსნა-გაგება-გააზრებისათვის პირველ ეტაპზე გამომეყენებინა პროექტორი. წინასწარ მომზადებული პრეზენტაცია ტერმინებთან დაკავშირებით. მოვამზადე ყოველი ტერმინის შესაბამისი სლაიდი და წარვუდგინე მათი ვიზუალური მხარე თავისი განმარტებით, რომლის შემდეგაც ხდებოდა (ან ფოტოს ჩვენებით, ან მხოლოდ დასახელებით) მისი ამოცნობა-გააზრება.

ინტერვენცია: 3

სპეციალური „ტერმინოლოგიური“ ტესტების გამოყენება-მარკირება

მიზანი: ყურადღების გამახვილება

აღწერა: მოსწავლეებს ვურიგებ ფურცელს სადაც ამობეჭდილია ტექსტი, მათ უნდა დაახარისხონ და გამოყონ ის ტერმინები რაც არის მთავარი ამ ტექსტში. შემდეგ ამ ტერმინების განმარტებას აკეთებენ თავად. მისი განმარტების შემდეგ მოსწავლეები ასრულებენ პრაქტიკულ სამუშაოს.

ხდება შესრულებული სამუშაოს განხილვა, არასწორი განმარტების შემთხვევაში მისი დაფაზე დაფიქსირებით ვახდენდით ვიზუალიზაციას და დამხმარე მოსწავლის მიერ განმარტებას.

ინტერვენცია: 4- **ბარათების გამოყენება**

მიზანი: მოსწავლეთა ცოდნის ამაღლება

აღწერა: მოსწავლეებს ვურიგებ ბარათებს თემის დასახელებით, რომლებიც შეიცავენ მთელ რიგ ტერმინებს. მოსწავლეები იმუშავებენ ინდივიდუალურად ან ჯგუფურად. ბარათებზე ჩამოწერილია ტერმინების უბრალო ჩამონათვალი, რომელთა მნიშვნელობაც მოსწავლეებმა უნდა ახსნან. დავალების შესრულების შემდეგ მოსწავლეები შეამოწმებენ თანაკლასელების ნამუშევარს. მოხდება შემოწმება განხილვა.

ცალკე ვაძლევ შედარებით სუსტ მოსწავლეს ბარათს, რომელზედაც ტერმინის განსაზღვრებაა, მან უნდა შეძლოს აღნიშნული შინაარსის შემცვლელ ტერმინს დაასახელებს.

ინტერვენცია: 5 ინტერვენციების შეფასება

მიზანი: განხორციელებული ინტერვენციების ეფექტურობის ხარისხის დადგენა.

აღწერა : ყველა ინტერვენციის ჩატარების შემდგომ გამოვიყენე კვლევის თვისობრივი მეთოდი-დაკვირვება. რამაც უფრო ნათლად დამანახა განხორიელებული

ინტერვენციების დადებითი შედეგები და ის ხარვეზები, რომელთა აღმოფხვრაც მეტ ძალისხმევას მოითხოვს.

5. ფოკუსირებული დაკვირვება (შუალედური)

1. **ლექსიკონის შედგენამ უზრუნველყო ტერმინებზე და ცნებებზე ყურადღების გამახვილებამ ?**

   ა) უზრუნველყო

   ბ) ნაწილობრივ უზრუნველყო

   გ) არ უზრუნველყო

2. **კითხვის დროს გამოყენებულმა მარკირების მეთოდმა უზრუნველყო თუ არა ტერმინების აღქმა და გაგება?**

   ა) გაზარდა

   ბ) ნაწილობრივ გაზარდა

   გ) არ გაუზრდია

3. **ბარათების გამოყენებამ უზრუველყო თუ არა მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი.**

   ა) უზრუნველყო

   ბ) ნაწილობრივ უზრუნველყო

   გ) არ უზრუნველყო

4. **ელექტრონული რესურების გამოყენებამ** გააუმჯობესა თუ არა ტერმინების ცოდნის ხარისხი?

   ა) გააუმჯობესა

   ბ) ნაწილობრივ გააუმჯობესა

   გ) არ გააუმჯობესა

5.1 ფოკუსირებული შუალედური დაკვირვების შედეგების ანალიზი

ფოკუსირებულმა დაკვირვებამ აჩვენა, რომ ლექსიკონის შედგენამ, კითხვის დროს გამოყენებულმა მარკირების მეთოდმა, ბარათების გამოყენებამ, ელექტრონული რესურების ხშირმა გამოყენებამ გააუმჯობესა ტერმინების გაგებისა და დამახსოვრების ხარისხი.

6. ანკეტირება (კვლევის დასასრული)

1. **რამდენად ყურადღებიანი მკითხველი ვარ?**

   ა) ძალიან კარგი

   ბ) ნაწილობრივ კარგი

   გ) ცუდი



2. ლექსიკონის წარმოებამ გააუმჯობესა თუ არა ტერმინოლოგიის აღქმა და გაგება?

ა) გააუმჯობესა

ბ) ნაწილობრივ გააუმჯობესა

გ) არ გააუმჯობესა



3. **დიდი მოცულობის ტექსტებში მარკირების მეთოდის გამოყენებამ გააუმჯობესა თუ არა ძირითად ცნებებზე ყურადღების გამახვილება?**

ა) გააუმჯობესა

ბ) ნაწილობრივ გააუმჯობესა

გ) არ გააუმჯობესა



5. **ელექტრონული რესურების გამოყენებამ გააუმჯობესა თუ არა ტერმინების ცოდნის ხარისხი?**

ა) გააუმჯობესა

ბ) ნაწილობრივ გააუმჯობესა

გ) არ გააუმჯობესა



4. კიდევ რა მიშლის ხელს ტერმინების გაგება- დამახსოვრებაში?

ა) განწყობა

ბ) უცხო ენის ბარიერი

გ) არ არის ჩემთვის საინტერესო



6.1 ანკეტირების შედეგების ანალიზი

ანკეტირების შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ ტერმინებზე და ცნებებზე ყურადღების გამახვილებამ და ლექსიკონების წარმოებამ გააუმჯობესა თეორიული მასალის გაგების პრობლემა. კონკრეტულად 4 მოსწავლე თვლის რომ გაუმჯობესდა, 1 თვლის, რომ ნაწილობრივ გაუმჯობესდა.

მარკირების მეთოდის გამოყენებამ **გააუმჯობესა ძირითად ცნებებზე ყურადღება** შედეგები ასეთია 2 მოსწავლე თვლის, რომ გაზარდა. 3-ს აზრით - ნაწილობრივ გაიზარდა, ხოლო - არ გაუზრდია-0

კითხვამ რესურების გამოყენებამ **გააუმჯობესა თუ არა ტერმინების ცოდნის ხარისხი შედეგი ასეთია**: 3 თვლის, რომ გაზარდა. 1 - ნაწილობრივ გაზარდა, ხოლო პრობლემურად კვლავ რჩება 1 მოსწავლისთვის.

ასევე დასახელდა სხვადასხვა მიზეზები, ესენია: განწყობა, უცხო ენის ბარიერი, რაც ვფიქრობ სხვა კვლევის საკითხია.

7. რეკომენდაციები

კვლევის შედეგად გამოკვეთილი პრობლემების გადასაჭრელად რეკომენდაციები მასწავლებლებს:

1. **აწარმოონ ლექსიკონები, მეტი დრო დაუთმონ რთულ ტერმინებს და ცნებებს.** თუ მოსწავლეს მკაფიოდ და გარკვევით ავუხსნით ტერმინებს და თან ჩავაწერინებთ ლექსიკონში მათ არ გაუჭირდებათ ტექსტის გაგება და დამახსოვრება.

2. **დიდი მოცულობის ტექსტებთან მუშაობის დროს გამოიყენონ მარკირების მეთოდი,** რათა მოსწავლეებმა შეძლონ ძირითადი მასალის გამოყოფა და მასზე კონცენტრაციის გაკეთება.

3. **გამოიყენონ ბევრი ვიზუალურად აღსაქმელი რესურსი** იგი ეხმარება მოსწავლეს მასალის უკეთ გაგებასა და გააზრებაში;

4. **გამოიყენონ ბარათების მეთოდი** - ეს განსაკუთრებულად მოქმედებს იმ მოსწავლეებზე, ვისაც დაბალი მოტივაცია აქვთ. იგი საშუალებას მისცემს მოსწავლეს, კომფორტულად იგრძნოს თავი და ჰქონდეს რწმენა, რომ შეძლებს სწავლას.

8. დასკვნა

თავდაპირველმა დაკვირვებამ აჩვენა, რომ მიუხედავად იმისა მოსწავლეებს უყვართ საგანი უჭირთ ტერმინების გაგება-გააზრება.

საკვლევი საკითხის ირგვლივ გამოკვეთილმა პრობლემის მიზეზებმა საშუალება მომცა, ისე დამეგეგმა აქტივობები, რომ აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრა დაწყებულიყო.

მოსწავლეების მხრიდან პრობლემის გამომწვევი მიზეზების დასახელების შემდეგ მათი გათვალისწინებით დაგეგმილი ინტერვენციების შედეგად, როგორიც იყო უცხო ტერმინებისთვის და ცნებებისთვის ლექსიკონის შედგენა, დიდი მოცულობის ტექსტებში მთავარი ტერმინების მარკირების მეთოდით გამოყოფა, ბარათების მეთოდის გამოყენება საგაკვეთილო პროცესში მეტი აქტიურობისა და დაკვირვებისთვის, სპეციალური რესურსებით ყურადღების გამახვილება- მივიღე დადებითი შედეგი.

განხორციელებულმა ინტერვენციებმა შეძლო პრობლემის მეტწილად მოგვარება. შევეცადე გამომესწორებინა სიტუაცია და მომეგვარებინა (ნაწილობრივ მაინც) ის პრობლემები, რომლებიც გამოიკვეთა სასწავლო პროცესში ტერმინებთან მუშაობის დროს. მიუხედავად იმისა რომ დაგეგმილმა ინტერვენციებმა მომცა დადებითი შედეგი და გარკვეულწილად კმაყოფილი ვარ კვლევის წარმოებით კვლევის პროცესში გამოვლინდა კვლევის ნაკლოვანი მხარეებიც, რომელთა ნაწილის დაძლევა შესაძლებელი გახდა ნაწილი კი დაუძლეველი დარჩა. კერძოდ, ინგლისური ენის სწავლებასთან მიმართებაში. კარგი იყო კვლევაში ჩამერთო ინგლისური ენის სპეციალისტი. კვლევისათვის საჭირო და საინტერესო იქნებოდა მომხდარიყო როგორც ინგლისური ენის სპეციალისტის აგრეთვე მშობელთა ჩართულობა და ინტერესის გათვალისწინებაც. ვფიქრობ, საინტერესო იქნებოდა და მნიშვნელოვან საკითხებს წამოწევდნენ წინ.

9. ბიბლიოგრაფია

1. „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი“ ნაწილი II http://tpdc.gov.ge/uploads/pdf_documents/gzamkvlevi%20meore%20nawili.pdf

2. ნაჩმიასი დ.; ჩავა ფრანკფორტ-ნაჩმიასი (2009 წ.)-“კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“.-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/kvlevismetodebisociologiurmecniereb ebshi.pdf

3. ლია წულაძის ნაშრომი ,,რაოდენობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებაში''-სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2008 წ http://css.ge/files/Books/Books/raodenobrivi_kvlevis_meTodebis_saxelomzgv.pdf

4. მაია ფირჩხაძე „როგორ ავათვისებინოთ მოსწავლეს ისტორიული ტერმინოლოგია“ -ჟურნალი „მასწავლებელი, 25 ივლისი 2016წ. http://mastsavlebeli.ge/?p=11019

5. მაია ფირჩხაძე „ტერმინოლოგიური კარნახი ისტორიისა და სამოქალაქო განათლების გაკვეთილზე“ - -ჟურნალი „მასწავლებელი, 26 ნოემბერი 2016წ. http://mastsavlebeli.ge/?p=19823

6. თეა ბორჩაძის ნაშრომს “ კომპიუტერული ტერმინოსისტემის თარგმნის ლინგვისტური მარკერები“- http://dl.sangu.edu.ge/pdf/dissertacia/teaborchxadze.pdf
7. სოფიო ლობჟანიძე „როგორ წარვმართოთ კვლევები“ - ჟურნალი „მასწავლებელი, 3 მაისი 2012წ http://mastsavlebeli.ge/?p=281

8. ქეთევან ჭკუასელი, თინათინ დოლიძე „სწავლების მეთოდები საშუალო სკოლაში“ - განათლების მეცნიერებანი და ფსიქოლოგია 2016 | No.1(38) [2016.01.31] http://gesj.internet-academy.org.ge/ge/list_aut_artic_ge.php?b_sec=&list_aut=3231

9. თამთა კობახიძე, გიორგი ნოზაძე, მაია ინასარიძედა მანანა ბოჭორიშვილი „მასწავლებლის წიგნი „შეფასება: მოსწავლე, გაკვეთილი და შიდა სასკოლო“-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2016წ.

http://mastsavlebeli.ge/wp-content/uploads/2017/01/%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%92%E1%83%9C%E1%83%98-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%99%E1%83%95%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D.pdf

10. დანართები

დანართი 1- აღწერითი უბრალო დაკვირვება

1. გიყვართ თუ არა საგანი ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები
    - კი
    - ნაწილობრივ
    - არა

2. ტექსტები არის დიდი მოცულობის, არის უცხო ტერმინები და მიჭირს დამახსოვრება
    - კი
    - ნაწილობრივ
    - არა

3. მიჭირს საოფისე პროგრამებში მუშაობა
    - კი
    - ნაწილობრივ
    - არა

4. რთული ენით არის მოცემული ტერმინების განმარტება
    - კი
    - ნაწილობრივ
    - არა

5. ტერმინების დასწავლასთან გაქვს თუ არა შიში?

- კი
- ნაწილობრივ
- არა

6. გიჭირთ თუ არა ტერმინების გაგება, გააზრება?

- კი
- ნაწილობრივ
- არა

7. მირჩევნია კეთებით სწავლება, მეზარება წაკითხვა, ბრძანებებისა და ტერმინების დაზეპირება.

- კი
- ნაწილობრივ
- არა

დანართი 2- დიაგნოსტიკური ანკეტირება (რაოდენობრივი კვლევა)

1) **რამდენად ხშრად იძლევა მასწავლებელი მიმდინარე საგაკვეთილო პროცესში ტერმინების განმარტებას?**

ა) ხშირად იყენებს

ბ) იშვიათად

გ) არ იყენებს

2) **რამდენად ყურადღებიანი ვარ როცა მასწავლებელი ტერმინებს გვიხსნის ?**

ა) ძალიან კარგი

ბ) ნაწილობრივ კარგი

გ) ცუდი

3) **რამდენად კარგად გადმოვცემ უცხოურ ტერმინოლოგიას ?**

ა) ძალიან კარგად

ბ) ნაწილობრივ კარგად

გ) ცუდად

4) **როგორ ვგებულობ და ვიმახსოვრებ უცხო ტერმინებს და ცნებებს ?**

ა) ძალიან კარგად

ბ) ნაწილობრივ კარგად

გ) ცუდად

5) თუ თვლით, რომ ვერ იმახსოვრებ ტერმინოლოგიას მიუთითე მიზეზი

ა) ----------

ბ) ----------

გ) ----------

დ) ----------

დანართი 3- ანკეტირება (კვლევის დასასრული)

1. ლექსიკონის შედგენამ უზრუნველყო ტერმინებზე და ცნებებზე ყურადღების გამახვილებამ ?

   ა) უზრუნველყო

   ბ) ნაწილობრივ უზრუნველყო

   გ) არ უზრუნველყო

2. კითხვის დროს გამოყენებულმა მარკირების მეთოდმა უზრუნველყო თუ არა ტერმინების აღქმა და გაგება?

   ა) გაზარდა

   ბ) ნაწილობრივ გაზარდა

   გ) არ გაუზრდია

3. **ბარათების გამოყენებამ უზრუველყო თუ არა მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი.**

ა) უზრუნველყო

ბ) ნაწილობრივ უზრუნველყო

გ) არ უზრუნველყო

4. **ელექტრონული რესურების გამოყენებამ გააუმჯობესა თუ არა ტერმინების ცოდნის ხარისხი?**

ა) გააუმჯობესა

ბ) ნაწილობრივ გააუმჯობესა

გ) არ გააუმჯობესა

11. პრაქტიკული კვლევის ანგარიშის პრეზენტაციის რეფლექსია

2018 წლის ნოემბრიდან 2019 წლის მაისის ჩათვლით დავგეგმე და განვახორციელე პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა. რამაც საკმაოდ გაამდიდრა ჩემი პედაგოგიური გამოცდილება. კვლევა ეხებოდა ისეთ პრობლემას, როგორიცაა ტერმინთა სწავლებასთან დაკავშირებული სიძნელეების დაძლევის გზები ინფორმაციულ - საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში მე-5 კლასში. აღნიშნული პრობლემების დასაძლევად კოლეგებთან კონსულტაციების გავლის შემდეგ დავგეგმე ინტერვენციები, რომელიც მომცემდა საშუალებას, როგორც საკუთარი პროფესიული განვითარების გასაუმჯობესებლად ასევე მოსწავლეთა სწავლა-სწავლების ხარისხის გასაზრდელად. თავდაპირველმა დაკვირვებამ აჩვენა, რომ მიუხედავად იმისა რომ მოსწავლეებს უყვართ საგანი უჭირთ ტერმინების გაგება-გააზრება. საკვლევი საკითხის ირგვლივ გამოკვეთილმა პრობლემის მიზეზებმა საშუალება მომცა, ისე დამეგეგმა აქტივობები, რომ აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრა დაწყებულიყო.

კვლევას ვატარებდი 7 თვის მანძილზე. კვლევის დასრულების შემდეგ კი მოვამზადე კვლევის ანგარიში და წარვუდგინე კათედრის წევრებს. ანგარიში წარვუდგინე პრეზენტაციის სახით, სადაც დეტალურად განვიხილე კვლევის ეტაპები. კოლეგებს წარვუდგინე შედეგები დიაგრამების საშუალებით, სადაც ნათლად ჩანდა მოსწავლეთა დამოკიდებულება სწავლისადმი ინტერვენციებამდე და ინტერვენციის შემდეგ.

მასწავლებლებმა ჩემგანაც მიიღეს რეკომენდაციები:

- **აწარმოონ ლექსიკონები, მეტი დრო დაუთმონ რთულ ტერმინებს და ცნებებს;**
- **დიდი მოცულობის ტექსტებთან მუშაობის დროს გამოიყენონ მარკირების მეთოდი;**
- **გამოიყენონ ბევრი ვიზუალურად აღსაქმელი რესურსი;**
- **გამოიყენონ ბარათების მეთოდი.**

კვლევის გაზიარების შემდეგ კოლეგებისგან მივიღე საინტერესო და დადებითი უკუკავშირები, მათ აღნიშნეს და მირჩიეს უკეთესი იქნებოდა კვლევის დაწყება სასწავლო

წლის დასაწყისში, რომ ინტერვენციებისთვის დრო მქონოდა უფრო მეტი და ინტერვენციების შემდეგ კიდევ ჩამეტარებინა კვლევა და შემედარებინა შედეგები. მირჩიეს კარგი იქნებოდა თუ კვლევაში მონაწილეობას მიიღებდნენ სხვა საგნის მასწავლებლებიც, რასაც აუცილებლად გავითვალისწინებ მომავალში მსგავსი აქტივობის ჩატარებისას.

აღნიშნული კვლევა და კოლეგების უკუკავშირი სტიმულია ჩემთვის, რადგან ვფიქრობ ამ კუთხით კვლავ განვაგრძო მუშაობა. საინტერესო იქნება მომავალ სასწავლო წელს ამ კლასში მუშაობა და მსგავსი ინტერვენციების განხორციელება.

ვფიქრობ კვლევამ ნაწილობრივ მაინც ხელი შეუწყო როგორც საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესებას, ასევე სკოლაში თანამშრომლობისა და სწავლა სწავლების ხარისხის ამაღლებას, მოსწავლეთა შედეგების გაზრდას. მასწავლებელის მიერ ჩატარებული პრაქტიკის კვლევა მნიშვნელოვნად ამაღლებს სწავლა-სწავლების ხარისხს. მონაცემთა ანალიზი საშუალებას აძლევს მასწავლებელს ჰქონდეს რეალური სურათი შექმნილი მდგომარეობისა.

აღნიშნული პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის კოლეგებთან გაზიარებს ამსახველი ინფორმაცია იხილეთ შემდეგ ბმულზე - https://ictbatumi.blogspot.com/p/blog-page_36.html

სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ღურტის საჯარო სკოლის

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პედაგოგი

მზია იაკობაძე